




ნოესობი

22/11
6
76




„კომუნისტს“
(25 წლის იუბილეს გამო)

წარტყის თუარო ფხიზერო,
სიჭყვავ-მეზრძლო, გზამთერო,
ღენინ-სტარინის რლოშირან
გარმონაშუქო ნათერო!
შენ, რამწაზმავო სიმარტარეჟ,
მჭერტა მძღვეერო ტიტანო,
ბერადის სიბრძნის, გმირობის
სარისს გურამდე მიმტანო,
საძმობლოს საღარაჯობე
ღაუღარავარ მდგომერო, -
გაზეთო, სტროქონმარტარო,
ქვეყნის სიკეთეჟ-მშრომერო!
შენი ზეიშის რლოება
მასარებს გურალოცაყებურს.
და სარამს გიძლოვნი მკზნებარეს.
- ბრძლორაში რავაუკასებურს!

25 წელი

ნინგი



შევუბრებ, წვეთი არ მოდის,
გადამელია გულია,


სადაც საჭირო არ არის—
იქ მოხჩქეფს ნაკადულია!

ჯკბილი გამოგონება

ბავშვები უდავოდ დიდი გემოვნების მქონე პატარა მოქალაქეებად უნდა ჩაითვალოს. ბავშვს საჭმელთაგან უყვარს ის, რაც ყველაზე ტკბილი და მარგებელია: შაქარი, თაფლი, კარაქი, მურაბა... ჰო, კინალამ დაგვაფიწყა—კამფეტი.
მოზრდილებში კი ბევრია ისეთი, რომელსაც პილივიტ ცხარე სალათა, სელიოდის კული და ხედ ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების მწკლარტე ღვინო (ლიტრი 7 თუმნად) მთელს სიცოცხლეს ურჩევნია.
ახლა შეადარეთ ამ ორი ჰასაკის წარმომადგენელთა გემოვნება და აშკარად დაინახავთ დიდ განსხვავებას

ნგრწყვისმომგვრელი საგნები, მაშინ, როცა საჭიროა კამფეტებს დაგარკვით ისეთი სახელები, რომ ბავშვებს სულ ელეთ-მელეთი მოსდიოდეთ მათს გაგონებაზე... სულ მალე დაინახავთ, რომ კამფეტებზე მოთხოვნი-

რიგა არაფერი მოგვიწყონო, მაგრამ მალე გამხნევდნენ და სალაროების წინ ისევ რიგები გაიმართა. ამიტომ „ნინგს“ წინადადება შემოაქვს გამოშვებულ იქნას პირველი ხარისხის კამფეტი სახელწოდებით „ჩველესაპი“, რომელზეც დახატული იქნება ეს ცეცხლმჭიწი ნავი საშიში ცხოველი ბასრი კბილებით, რქებით და გრძელი კულით. (იხ. სურ. № 2), მეორე ხარისხის კამფეტი სახელწოდებით „როკაპი“ (იხ. სურათი № 3).
ეჭვი არ არის, რომ ბავშვები დაფრთხებიან და კამფეტებს შეიძულდნენ.
თუ ამანაც ვერ გასჭრა, მაშინ შეიძლება გამოგუშ-



ლებს შემცირდება და ჩვენც თავისუფლად აშოვი-სუნთქავთ.
ეს წინადადება ყველას მოეწონა...




ვით კამფეტები ასეთი სახელწოდებებით და სურათებით: „აფთარი“, „ბაყ-ბაყ-დევი“, „ურჩხული“ და ასე შემდეგ.
თუ ამანაც ვერ გვიშველა, სხვა გზა არაა—უნდა გამოგუშვათ კამფეტები ეტიკეტებით, რომლებზეც დახატული იქნება საშაქარლო ფაბრიკის ეტიკეტების გამოგონებელი კეთილ ხელში, მრისხანე სახითა და შეგნებულად დაკრეჭილი კბილებით. (სურ. № 4)
და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მაშინ ან ბავშვები მინებებენ თავს ტკბილეულის ჭამას, ან თვით „ქაჯა-თის“ ავტორებს მინებებინებენ თავს ისეთ ნაზ და სა თუთ საგნებზე ეტიკეტების მიკვრას, როგორცაა საშაქარლო ნაწარმი.

პატარების სასარგებლოდ.
ითვალისწინებს რა ამ გარემოებას თბილისის სა-შაქარლო ფაბრიკა № 1 უშვებს მრავალი სახის ტკბილეულს და მათ შორის კამფეტებსაც. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა კამფეტზე. ამიტომ ფაბრიკამ და კვების მრეწველობის სათანადო განყოფილებამ დააპირეს ცოტა დაეწინებიათ ბავშვები და ტკბილეულის ფასები ასწიეს ქვევიდან-ზევით უკუღმა პერპენდიკულარული მიმართულებით.
მაგრამ ბავშვებს განა ფასებით შეაშინებთ? ჩავარდნენ საგუნებელში სათანადო მუშაკები.
—ჩვენ ნაზად ვეპყრობით ბავშვებს, —ამბობდა ერთ-ერთი მია—გაწვდით მათ შესანიშნავ კამფეტებს, გახვეულს ლამაზ ქაღალდებში, რომლებზეც დახატულია კობტა ვაშლები, ალუბალი, მარწყვი და სხვა ასეთი

...და გამოშვებულ იქნა, როგორც ნიმუში კამფეტი შიშის მომგვრელი, სახელწოდებით—„ქაჯეთი“.. (იხ. სურ. № 1).
მაგრამ დახეთ საოცრებას! პატარებს, მართალია, ეტყობათ და ცოტა კიდევ შეფიქრიანდნენ—აქ ინტ-



ტექსტი გახსი



1. მას შემდეგ, რაც რწყილმა ჭიანჭველა დახრჩობას გადაარჩინა, გულუბრყვილო ჭიანჭველამ გადაწყვიტა ლუდის გამყიდველად დამდგარიყო. გადაწყვიტა და კიდევაც შეასრულა.



2. ერთ კვირას უცადეს ძმობილებმა ლუდის ქარხანას. ქაფიანი სითხე არავინ გამოუგზავნათ. „წყურვილით ვიხრჩობი“—უთხრა ჭიანჭველამ რწყილს, „წადი ქარხანაში, იქნებ ლუდი როგორმე იშოვო“...



3. რწყილი ახტა-დახტა, „ლუდ-ქაფსბიტის“ კანტორას მიადგა და შესთხოვა: „მომეც ლუდი, დავაღვამ საქაჩავს, ავაქაფებ, ფულს მოვიგებ, თქვენც გარგებთ და ჩემს ძმა ჭიანჭველასაცო“. „თქვენ ჯერ ჩვენთვის რა მოგიციათო“ უთხრეს კანტორაში და რწყილი ხელცარიელი გამოისტუმრეს.




4. რწყილი ახტა-დახტა და ინსპექტორს მიადგა. „დამეხმარეო“ უთხრა. „შენ ჩემთვის რა მოგიციაო“ უთხრა ინსპექტორმა, „მეც მუცელი მაქვს და ცხოვრება მინდაო“.



5. რწყილი ახტა-დახტა და სათანადო ტრესტს მიადგა. „შენ რომ ჩვენთვის ინტრიგანი, საჩივრის წიგნაკის მთხოვნელი მომხმარებელი არ მოგიშორებიაო“ უთხრეს რწყილს ტრესტში.



6. „ამაზე ადვილი რა არისო“, სთქვა რწყილმა, დაერია იქვე თავმოყრილ „ინტრიგან“ მომხმარებლებს, თითო-თითო უკბინა და ტრესტი დაატოვებინა.



7. გასამრჯელოდ რწყილმა „ლუდ-ქაფსბიტისადმი“ მიწერილი ბარათი მიიღო: „ჯერ დარიბებია, ხელი შევუწყოთ, ვენდოთ და შემდეგ სად გავვექცევინაო“.



8. ამხტარი რწყილი ქარხანაში ჩახტა და 500—ლიტრიანი კასრი გამოაგორა.




9. ხტუნვა-გორაობით რწყილი და კასრი ჭიანჭველასთან მივიდნენ. რწყილმა კასრი გახსნა და გარდა იმისა, რომ წყურვილისაგან დახრჩობის პირად მისულ მეგობარს სიცოცხლე მეორედ დაუბრუნა, გააჩალა ფრიად შემოსავლიანი ვაჭრობა, 7 მ. და 60 კაპიკად ღირებულ ლუდს ყიდდა ათ მანეთად, ერთიორად აქაფებდა, თითონაც სჭამდა და სხვასაც აჭმევდა.



ნიანგის სამთავრო მიმოხილვა

ზევრი დისწერს პიესა, გადმოდის რეპერტორი, ფულზე, პიესის დადგმაზე არის უახრესი უარი. მაგრამ ხომ ყველა არ ვერვით, უმც მოსავალი უხვია, შრომითი დაღეს, შიჯულანთი, გერ ხელაკ არის უხლია, ზოგი ნამდვილი დროპაა, ზოგი ულ რანა-რენია, ათასებს ხარჯავს თეატრი (რღი მეზაოზნ სიადა), დადგის დღეს ხელემა დამღვლი, დროამ რომ ფეგრისია, ერთი მეორეს ამიაღებს, დამწული ცისია! მაინც საყვედრს საფროის, მერღებს ნუ ეტყვის ნურავინ, მსოფლივ ერთი ორს ცხოველნიინიღის ეს სამღეროვი. თურღ შანიაშვილს ტყუილია ამა თუ დღეეეენია! რომანი დრომით აქცია, ცუდიმ არ დაურსნია, თეატრის კარი გენათ, ხალ მუხვითი ეცია! (სანდრო ყაზბეგზე ახია, რათ ყოი მისი სუნიის) გიორგი შაგბერაშვილი ამბობდა ვასაგონად: ჩენი ფრონტული მიტების ფიქრი გულს მწვევ გორადა, პიესა ხილს მოწონია, მკონი გეზრათე სწორიადა, თეატრმაღ კარად იწრომა, აწია ერთი-ოთხადა. კეღე გვისინა კაღბნე წაქეღ გემო დრამისა, წელს კომედი დასწერია, დააწეა. ერთი ღამისა. დღეი ქაინღს შაია, თავის საბათოვი პარეოთია, ახლა თეატრში შეწოყავს ახლი კონტრამსტოთია. გიოთუ, გაბესკირია, სხედღ დღემს რიჯს ელიან, იონა მოთქემს ვაქელი: „თამაზე წერა მწულია“ კახაბერს დგამენ, ვერ დადგენს მწე მათე წელით. ეწია დაუღდა ვამთბერს, წელს კარგი მასინძლია: სეყველან აქ ვერ ჩამოფთელი, იუცია რითმები მუქებებს, შალეა ზის დრამეტიკაში, აფორებს უფებს ანეკდეს, მაგრამ მწერლები ჩქარობენ, მსწროფე კაცე ხარბია, პირდაპირ თეატრისკენ, დამწელებსკენ გარბიან. სეჭკია პასებს რად ბეგებს, თე ეწიმე გიდოფებია! მწერლებს მუღანი, თეატრებს ღალი ოფლი უღვრიათ, გისინდ უფრო იმეტოს, წელს მოსავალი უხვია.





დილის სრულს შვიდ საათზე გარდაიცვალა პორფილე მარშანია. მწუხრის მხის სხივებით მოეფინა ქვეყანას დეპეშები: „დავკარგეთ პორფილე. ვასაფლავეთ კვირას, საღამოს სრულს ექვსზედ“. უბედური ამბავი ამცნეს დეპეშებმა სოფლებს: კიწიას, კუწიას, მუხიანს, მეხიანს, კვახიანს, კეხიანს.

„დიდი ძუნწი და ძყრალი კაცი კი იყო მაგ პორფილე“—სიტყვებს სოფლებიდან, „მაგრამ რას იზამ, შვლი ჰყავს დიდკაცი და უნდა დავესწროთ ვასვენებასო“.

თათამ პორფილეს ძეს, ომბალს რაილმასკომის სავაჭრო განყოფილების გამგეს, მოულოდნელად გადასცა დეპეშა შიკრიკმა, როცა იგი სავაჭრო ქსელის მუშაკთა თათბირზე მოხსენებას აკეთებდა—„როგორ უზრუნველყოთ საქონლის გასაღება ომბალის რაიონის მომხმარებლებში“. თათამ ხელი იტაცა თავზედ, თათბირი მომავალ ორშაბათისთვის გადასდო და მოწვეულნი დაითხოვა, ხოლო საწყობის გამგეს ანიშნა და თავისთან დასტოვა.

ხალხს ცრემლებს როგორ დაანახებდა მაგრამ როცა მარტოდ დარჩა მესაწყობესთან, ველარ შეიკავა თავი და მაისის წვიმასავით იატკიალეს ცრემლებმა მის თვალთაგან. მესაწყობეც ტირილითვე შეებასუბა უფროსის ტირილს (მარტო სიცილში ხომ არ უნდა აჰყვე უფროსს), თუმცა ჯერ არც იცოდა რაში იყო საქმე.

რაოდენსამე ხანს იღვრებოდა ცრემლები და ვინ იცის სანამ გაგრძელდებოდა ეს ამბავი, რომ ტელეფონის ხარს არ დაერღვია იგი. უცებ საზოგადოებრივი სახე მიიღო თათამა, მოიწმინდა ცრემლები, ჩაახველა და ასწია ტელეფონის ძილი. საზოგადოებრივი სახე მიიღო მესაწყობემაც, ხოლო ცრემლები არ მოიწმინდა, „იქნებ კიდევ განაგრძოს ტირილი თათამა ტელეფონზე საუბრის შემდეგო“.

—მაშა დავკარგე ბიჭო,—თავჩაღუხულად სიტყვა თათამა, როცა მილი დასდო.

—დიდუპ, რა კაცი, რა კაცი!—იყვირა მესაწყობემ.

—იცნობდი არა?—შეეკითხა თათამი.

—რაფა არა, თათამ პორფილიჩ, ვიცნობდი!—მიუგო მესაწყობემ და წუწუნი იწყო: „ვაიმე ჩემო პორფილე, შე უბედურო!“ (თუმცა პირველად ახლა გაიგო, რომ თათამ მარშანიას მამა ჰყოლია).

—ჰო და თუ კაცი ხარ,—მიმართა მესაწყობეს თათამა—მიიხედ მოიხედე საწყობში, ხომ იცი სოფელი, მეზობლები, მშრალად ხომ ვერ ჩავდებ მიწაში მიცვალებულს.

—ესტ პორფილიჩ!—შეჰყვილა მესაწყობემ და გასრიალდა.

გასვენების წინაღღეს პორფილე მარშანიას ეზოში შემოსრილდა საბარგო მანქანა, მძიმედ დატვირთული, ბრეხენტგადაფარებული.

—მოვიდა თათაშიო!—ისივლეს კირისუფლებმა.

„პაგონები“—ლა აკლდა თათამს, სხვა მხრივ სამხედროდ იყო გამოწყობილი, პასუხისმგებელი ამხანაგი.

ხალხს ცრემლებს აქაც როგორ დაანახებდა, ხოლო როცა მიცვალებულის სარეცელთან მივიდა, ისურვა მარტოდ დარჩენა, და როცა იქიდან გამოვიდა, მეზობლებმა სიტყვებს: „ბევრი უტირიაო“.

კვირა დღეს, როცა მტრედისფრად ინათა, კირისუფლებმა დაიწყეს შექამანდის ხარშვა. ინარშებოდა: დოში და კუტუმი, ლობიო და ცერცვი, ფლავი და ფსტანი, ხოლო ბოთლებსა და დოქებში ისხმებოდა ქარვისფერი ღვინო.

დილითვე იწყეს დენა მომსვლელებმა, ახლომახლო სოფლებიდან.

ორიოდე საათში ეზო აივსო. შორიგზიდან მოსულებს და დამშულებს ოდის უკან სუფრა გაუშალეს. სუფრაზე ელაგა: დოში და კუტუმი, ლობიო და ცერცვი, ფლავი და ფსტანი, პური და ღვინო. „დიდი ხანია რაც არ გვინახავს ასეთი სუფრა ქელებში; ახლავე მოუხსნდეთო“ სიტყვებს მამაკაცებმა და მალე მიცვალებულთან აღარ იდგა არც ერთი მამრობითი სქესი, მხოლოდ ქალები და დარჩნენ კუბოსთან და ეზოში ლობებზე მიყუდებულნი.

თამადამ აიღო ჩაის ქიქა და ლალადჰყო პორფილეს შესანდობარი. მაშინ წინ წამოდგა მარშანიას ყურისმეზობელი ოქროპირი და სიტყვა ითხოვა. (ყველაზედ მეტად მას ჰქონდა, უბედურს, გამწარებული სიცოცხლე პორფილე მარშანიასაგან). თათამს შეატყველა და შეაცვივა: „ნამდვილად გამიფოჭებს ეგ ბებერი მიცვალებულსო,“ გაიფოჭა, მაგრამ ოქროპირი, რომელსაც უკვე მოესწრო მცირე გადაკვრა, მოიქლურცა კიდევ და დაიწყო:



—კირისუფლებო, მოკეთებო, მეზობლებო და სტუმრებო! დავკარგეთ უდროოდ საყვარელი პორფილე, ვერ გავიგონებთ აწი მაგის თხილის წქეხლივით წვრილ ხმას, აღარ ჩამობაჯუნდება აწი მაგი ჩვენს ეზოებში და არ გვკითხავს:—ხვარაფერი გიჭირლარიენო. ვენაცვალე თათამს, აოაფერს მაკლებს, ყველაფერი თავზენ გადამიღვიაო—არ გადადიოდა თუ?—როცა გაგიჭირდევყენ მომაკითხეთ მეზობლებო, თქვენთვის თუ არა აბა ვინ ეშმაკებიზან მინდა ამდენი ხორაგო“.

ამ დროს მეორე მეზობელმა თვალები გადაქაჩა საოცრად; მერე ბელტისოდენა პური და სახნისისოდენა დოში იტაკა პირში და გამობუშტული ლოყები რომ არვის დაენახა, ზედ ხელები მიიფარა. მის ტვინში ერთადერთმა აზრმა იღვია: „ისემც მაგას ჩააკვდება ძალდი სულში“. უცებ ზეზე წამოიჭრა პარმენ ლეფსვერიძე და დაიძახა:

—მოშეცით ერთი სიტყვა!

თამადამ დასტური უთხრა.

—ამხანაგებო და მოქალაქენო, ომბალის რაილმასკომის სავაჭრო განყოფილების თორმეტი მარტის დადგენილების მეცაფეტე მუხლის თანახმად, რომელიც დაშვებულ იქნა ადგილებზე აგვისტოს ბოლო რიცხვებში, ჩვენს თემსაბჭოზე დამხადების დარგში მოძაგრებული იყო ამხანაგი თათამ პორფილიჩი,

ვის არ ახსოვს ის დღეები გასულ წელს; ჩვენ ენახეთ მაშინ, თუ რას წარმოადგენს ამხანაგი თათამ პორფილიჩი ობიექტურად და სუბიექტურად. მისი გადამჭრელი ღონისძიები გასული წლის გვემა შევასრულეთ კიდევ თითქმის ნაწილობრივ“.

—ოჰ, ჯერ ადრეა ჩემი სადღევრძელოო—სიტყვა თათამა, ფეხზე წამოდგა დინჯად და თანამესუფრეებს ისეთი თვალთ გადახედა, რომ ყველანი თან აიყოლია. მერე კი თითქოს თავმდაბლად, მაგრამ ძალდაუტანებლად, ბამბის ძაფით დაქაჩა ისინი ძირს: „დაბრძანდით ამხანაგებო, ზედმეტია ეს პატივისცემა მე მგონი“.

—„თათამ პორფილიჩი—განაგრძო პარმენ ლეფსვერიძემ—ცენტრის ფიგურაა, იგი ხელმძღვანელობს მთელ რაიონის ვაჭრობას და დგას მოწინავეთა რიგებში.“

—მაგას ერთი მრავალჯამიერიო—იყვირა ოქროპირმა.

—აჰ, აჰ, არ თქვათ, არ თქვათ—აკვილდა შეგ თავშალში მუმიასავით გამოკრული მძახალი მაკო.

მეხუთე და მეექვსე ჩაის ქიქაზე, მიცვალებულის გასვენების დრო გადასული იყო უკვე. მამაკაცები სმის ეშხში შევიდნენ.

ახლა თათამს მესაწყობემ უთხრა სიტყვა.

—დალიე ღვინო“,—ერთმანეთს აძალებდნენ მეზობლები,—„ასეთ ვასვენებას ვინ იცის როდისღა მოვესწრებით, ვასვენებას ნუ ვიჩქართ, მთვარიანი ღამეა, კიდევ ესიამოვნება პორფილეს მთვარიანში გასეირნება, სამარემდეო“.

ღამით „მრავალჯამიერსაც“ აღარავინ უშლიდათ გაღეშოლებს.

შუალამისას ველარ მოითმინა მაკომ და დამძარბული შეეკითხა მოლხინეთ:

—ასაფლავებთ თუ არა მიცვალებულს, თქვე წაწყმედოლებო?

მაშინ აღელდა ოქროპირი და გულამომჯდარი აკვირინდა:

—„რას ამბობ დედაბერო, როგორ თუ გავასვენოთ! მაგ კაცი ოთხმოცდაორი წელიწადია ამ სახლში ცხოვრობს და ნუთუ ერთი ღამის გათვევის ნება არ აქვს?

—აქვს, აქვს!—იღრიალეს მოქეიფებმა. განთიადის სიომ დაჰბერა.

ოდის გარშემო დაზოცილ მეციხოვნეებს ჰგავდნენ მოქეიფენი. კუბოს ამწევი აღარავინ იყო.

—ჩვენ მაინც გადავათრიოთ ქალებო, ეს უბედური!—დაიძახა მაკომ.

დილით საბარგო მანქანას მარტოდ ქალების პროცესია მიჰყვებოდა სასაფლაოსკენ.

—„ვიჩქართო ჩემო ერთგულო“—უთხრა მესაწყობეს თათამა,—„ამ საღამოს უნდა გავაკეთო გადადებული მოხსენება: „როგორ უზრუნველყოთ საქონლის გასაღება ომბალის რაიონის მომხმარებლებში“.

მაშინ მესაწყობემ მიუგო:

—„შენ რომ მოხსენებას აკეთებდი, ის საქონელი აქ შეიჭამა გუშინ, ხოლო რაც საწყობში დარჩა—წამოსვლის წინ მე წავილე შინ, არც მამაჩემია მთლად ბავშვი, ვინ იცის რა მოელის ხვალ“.

გ ე მ ო ტ რ ე

(პიესა ერთ მოქმედებად)

სცენა წარმოადგენს დირექტორის კაბინეტს. მაგიდასთან ზის თვით დირექტორი — ქერა, ჭროლა თვალები კაცი. აცვია ბაზკენას მიერ შეკერილი კოსტუმი; მალაღი, ფართო მხრებით, საიდანაც თოჯინას-ვით ამოუყვია მომცრო ქერა თავი. ზედმეტად გალაქული თმები ისეთ შთაბეჭდილებას სტოვენს, თითქოს სველიაო, ცდილობს თავი დაიჭიროს მრავალი ქონების ბატონი კაცივით. მეორე მხარეს მაგიდასთან ზის შავგვრემანი სქელ-სქელი ბუღალტერი.

გამოსვლა პირველი

ბუღალტერი (დირექტორს) — გეტყობათ დღეს კარგ გუნებაზე ბრძანდებით.

დირექტორი — დიან, გამოძინება მოვასწარი.

(კარები იღება და შემოდის შუახნის კაცი. იგი მოკრძალებული ნაზიჯით უახლოვდება დირექტორის მაგიდას)

ბუღალტერი — (ახალმოსულს) თქვენ ვინ გინდათ?

ახალმოსული — (დირექტორის წინაშე ყოფნის დროს დამაზანაიათბელი, სტანდარტული ღიმილით) ბატონი დირექტორი.

დირექტორი — რაზე მოსულხართ?

ახალმოსული — თქვენს სისტემაში მინდა დავიწყო მუშაობა. გამოცდაზე გამომგზავნებს თქვენთან.

დირექტორი — (მრავალმნიშვნელოვნად ათვალიერებს ახალმოსულს და სკამზე მიუთითებს) დაბრძანდი, ჩემი შეკითხვები, ცოტა არ იყვეს რთული სიტყვებისაგან შესდგება, შენ უნდა განმარტო ისინი.

ბირველი შეკითხვა ასეთია: რას ნიშნავს კავშირგაბმულობა?

ახალმოსული — (ჯერ ჩაფიქრდება, მარდი თვალებით, რომელთაც აქამდე აქეთ-იქით აცეცებდა, იატაკს დასტერდება, თითქოს რაღაცა მოაგონდო, პირზე იგივე სტანდარტული ღიმილი აუთამაშდება და აუჩქარებლად უბასუხებს) ერთი მაღაზიის გამგის, მისი მოადგილის, ბუღალტრის, გამყიდველების და საწყობის გამგის კავშირს, რომელიც უხილავი ძაფებით არის გაბმული თქვენთან, ეწოდება კავშირგაბმულობა.

დირექტორი — (სიამოვნებისაგან ადვილზე შეინძრება) ჩემი მეორე შეკითხვა ასეთია: რას ნიშნავს ფოსტა-ტელეგრაფი?

ახალმოსული — (გვერდზე, თავისთვის) ვა, ეს რა ადვილ შეკითხვებს იძლევა, ვინ არ იცის, რომ ფოსტაში მთელ დღეს იმდენი წერილი არ მიდის, რამდენ ბარათებსაც ესა სწერს მაღაზიაში, სხვადასხვა განკარგულებებით, (შემდეგ დირექტორისაკენ მიხედვას და მშვიდად ბასუხობს) ყველა იმ ბატარა-პატარა ბარათებს, ე. წ. „ზამისკებს“, რომლითაც უშუალოდ საწყობიდან გასცემენ პროდუქტებს და მანუფაქტურას.

რაიმე გაუგებრობის შემთხვევაში თქვენთან ტელეფონით კავშირს, და საერთოდ მთელ აპარატს, რომელიც მომხმარებელთა იმ ვიწრო ჯგუფს ემსახურება, რომელსაც თქვენ წყალობით, ეწოდება ფოსტა-ტელეგრაფი.

დირექტორი — (ბუღალტერს გაღანედავს და მოწონების ნიშნად თვალს ჩაუკრავს) აბა ესლა ეს მითხარი რას ეწოდება ადგილიც?

ახალმოსული — ეს შესასრულებლად უფრო ადვილია, განმარტება ცოტა მიჭირს. ასე, მაგალითად, მიიღებს მაღაზია პროდუქტებს, ან მანუფაქტურას. რაც კარგია, აიღებენ და ცალკე შეინახავენ თქვენი შინაური აქტივისათვის. მონარჩენებს ჩვეულებრივ მომხმარებლებს მისცემენ. არის შემთხვევები, რომ ამ სიტყვას სულ გათიშავენ ხოლმე, ან მარტო ადებს აწარმოებენ, ან მარტო მიცემას. ასე მაგალითად, ამას წინადად კარაქი მიიღო ერთმა მაღაზიამ. თქვენის განკარგულებით იგი მხოლოდ თქვენ აქტივს მისცეს. დანარჩენებს არც ერთი გრამი არ მიუღიათ.

დირექტორი — შესანიშნავია, შესანიშნავი. აბა ერთი ესეც მითხარი რას ნიშნავს დრო და უამი?

ახალმოსული — დროს და უამს ვაჭრობის დარგში დიდი მნიშვნელობა აქვს, ასე მაგალითად, დილით მოხატანი რძე 4 ან 5 საათზე რომ მოაქვთ, მომხმარებელთა 80 % მით ვედარ სარგებლობს. რძე მთლიანად რჩება მაღაზიას და ნაწილდება თქვენებურად.

დირექტორი — შენ გამოცდილი კაცი ყოფილხარ, მაგრამ მე მაინც მინდა, რომ რამეში ჩაგჭრა. აბა შენ თუ მეტყვი — რას ნიშნავს თავდავიწყება?

ახალმოსული — (ემშაკურად გაიღიებს და დამშვიდებით განაგრძობს) აი იმ ხალხში, რომლებიც ხშირად მოდიან თქვენი ბარათებით, ხანდახან ისეთი კონტა და კეკლუცი ქალი გამოერევა ხოლმე, რომ გამყიდველიც კი თავდავიწყებამდე მიდის. ავიწყდება თავისი თავი, მოვალეობა და ისე სწორად უწონის, რომ არც ერთ გრამს არ აკლებს წონაში.

(დირექტორი და ბუღალტერი ხამაღლა გადაინარხარებენ).

დირექტორი — (ზეზე წამოდება და აღტაცებული მიმართავს ახალმოსულს) კაცო, შენ სულ ძველისძველი ყოფილხარ, უსათუოდ გამოდგები ჩვენთან, სადაც ვინდა იქ დაგნიშნავ. (ბუღალტერს) აი, ნამდვილი კადრი!

(ფარდა)

ასტამი

ახალი ანდაზები

ეროვნული
გიგლიოთეკა

1. მეესოვეს ქარმა უღალატა და ქუხა დასაგველი დარჩაო.
2. კიტრი სამ თუმნად და თავის ქება ისევ კაზიკადო.
3. ვერის ბახრელ სხეულანტს დე-სერტირკასე არ შეუძებენო.
4. მეტრი არშინსე დიდიაო, მაკრამ მოსომება ნოქარსე ჭკიდიანო.
5. ზოგჯერ მელუდსაც დასცნებბაო.

ახალი გამოსანები


1. რიკინ... რიკინ .. ექვთიმეო, ერთი ზატრონს, ერთი მეო. (მეწისქვილე)
2. ჯიგი-ჯიგი, ვახე-ვახე, ოთხი „თაგვი“, ოცი მახე. ფული ბევრგან გადვისადე, სანახავი ცოტა ვახე. (დასვენების ზარკი)
3. წეაღში თითონ ცურავს, სმულეთსე სხვები აცურებენ. (თეფსი)

შეკრიბა გიამ

ნახ. დონისა

კროუსიური განჭვიკვა

ანუ



როგორ წარმოუდგენია შოფერს სამოთხე



გაუჭირდა ბებერ კრუსსა,
 გაუძნელდა ცდა და შრომა, —
 ამოდენა „წიწილებმა“
 მის ფრთებქვეშ რომ იწყეს ძრომა.

მაგრამ ქათმის მოკლე ტვინით
 ახე ზომავს ქვეყნის ბრუნვას:
 თავს სანამ თვით წააგებდეს —
 სხვა ქათმებსაც უწევს ზრუნვას.

სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკიი ჟურნალ „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49
 ხელმოწერილია დასაბეჭდათ 1945 წ. 13/VI ლ. პ. ბერეას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. გამოტ. № 33. ფეკ. № 731, უფ. № 07276.

8-7500